



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030123234754015

№ 01-4/ა

12 / იანვარი / 2015 წ.

„საოჯახო მედიცინის“ დარგში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „ყურში გოგირდის საცობის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) „გულის ქრონიკული უკმარისობის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N2);
- გ) „მოზრდილებში დაღლილობის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N3);
- დ) „ქალა-ტვინის ტრავმების შეფასება და მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N4);
- ე) „პოდაგრისა და ჰიპერურიკემიის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N5);
- ვ) „მოზრდილ პაციენტებში წინაგულთა ფიბრილაციის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N6);
- ზ) „ბავშვებსა და მოზარდებში კვებითი ალერგიის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N7).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო

